ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ოქტომბერი

პროფესიული განათლების რეფორმა – უმოკლესი გზა დასაქმებისკენ

პოლიტიკის დოკუმენტი

სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრი

პუბლიკაცია მომზადებულულია სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრის პროექტის – „ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგისა და სამოქმედო გეგმის ხუთი სფეროს სამოქალაქო მონიტორინგი“ – ფარგლებში.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე.

ავტორი:

ლაშა მელაძე*

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)

რედაქტორი:

ნესტან ჩხიკვაძე

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ. ტექსტისა და კომენტარების ავტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ ეკუთვნით და არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

წინასიტყვაობა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგი (2014-2016) ითვალისწინებს პროფესიული განათლებისა და ტრენინგისადმი (VET) სტრატეგიული მიდგომის ჩამოყალიბებას, საქართველოს პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის მოდერნიზაციასა და ევროკავშირის პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სტრუქტურებთან დაახლოებას კოპენჰაგენის პროცესის შესაბამისად და მისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

პროფესიული განათლება არის სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და ასოციაციების, მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების მუდმივი სოციალური დიალოგის საგანი.

პროფესიული განათლება პრაქტიკული უნარების გამომუშავებისა და მათ გამოსამუშავებლად საჭირო ცოდნის გადაცემაზეა ორიენტირებული, ანუ სწორედ პროფესიული განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისათვის საჭირო სამუშაო ძალის ძირითადი ბირთვის მომზადება, რომელიც ფაქტობრივადაა ჩართული ტექნოლოგიურ პროცესში. შესაბამისად, პროფესიული განათლება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. სწორედ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და საზოგადოების განათლების უზრუნველყოფისათვის რეალური ნაბიჯების გადასადგმელად.

* ლაშა მელაძე 2014 წლიდან განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) პროგრამების მენეჯერია. ამჟამად იგი კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის მიმართულებებს ევროინტეგრაციისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის სფეროში. იგი ფლობს მაგისტრის ხარისხს და არის საერთაშორისო პროგრამის “დემოკრატიის, მმართველობისა და არჩევნების სფეროში რესურსების შექმნა” (BRIDGE) სრულად აკრეტიდებული ფასილიტატორი.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია პროფესიული განათლების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის (2014-2016) 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შედეგები. გაანალიზებულია პროფესიული განათლების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები და შემუშავებულია რეკომენდაციები მათ გადასაჭრელად.

რეკომენდებულია, რომ ხელისუფლებამ თავის 2017-2019 წლების ასოცირების დღის წესრიგსა და, შესაბამისად, ეროვნულ სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში პრიორიტეტად განსაზღვროს პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ხელმისაწვდომობა, რათა უზრუნველყოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება.

ანალიზი

ევროინტეგრაცია და მისი თანმხლები ევროპეიზაციის პროცესი, როგორც ევროკავშირის ღირებულებებისა და ნორმების გავრცელების მექანიზმი, უაღრესად აქტუალურია თანამედროვე საქართველოსთვის, განსაკუთრებით 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ასოცირების ხელშეკრულება ქვეყნის პოლიტიკური განვითარების, ერთიანი ევროპული ბაზრის წვდომისა და ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების დამკვიდრების საფუძველს ქმნის. ამდენად, უდავოდ, მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის გზაზე ასოცირების ხელშეკრულებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების გააზრება და წლიური სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების საზოგადოებრივი მონიტორინგი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის (2014-2016) 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად განათლებისა და ტრენინგების სფეროში 2016 წელს დაგეგმილია მომზადება და ინიცირება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონპროექტისა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული განათლებისა და ტრენინგების სისტემის შესაბამისობა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან. ამავდროულად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ხაზს უსვამს ევროპული გამოცდილების სრულად გათვალისწინების (მხედველობაში მიღების) საჭიროებას პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში.

პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო. რეფორმის აუცილებლობა განაპირობა ამ სისტემაში არსებულმა პრობლემებმა, კერძოდ, პროფესიული განათლების დაბალმა პრესტიჟმა, პოტენციური სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალმა დონემ, გარკვეული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების არარსებობამ, წინმსწრები განათლების აღიარების სისტემის არარსებობამ, პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის დახვეწის აუცილებლობამ, პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის

არარსებობამ. გარდა ამისა, არ იყო უზრუნველყოფილი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და არსებობდა ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხი“. კერძოდ, სისტემა ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა თავისუფალ გადასვლას პროფესიულ და სხვა საგანმანათლებლო დონეებზე.

2009 წლიდან საქართველოს მთავრობამ ფართო მასშტაბიანი რეფორმების ფარგლებში გაატარა მთელი რიგი სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები, რომელთა მიზანი იყო პროფესიული განათლების სისტემის განვითარება და დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.

2010 წელს ევროკავშირის სისტემებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა პროფესიულ განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო, რომლის დანერგვას ცენტრალური ადგილი უკავია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზების პროცესში. ამავე წელს დამტკიცდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და კანონი ხარისხის განვითარების შესახებ, შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს სხვადასხვა კომპონენტი და სრულად ან ნაწილობრივ დაინერგა კიდეც პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვადასხვა პოლიტიკისა და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის საფუძველზე, თუმცა, მაინც არსებობდა მნიშვნელოვანი გამოწვევები. ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას კი წარმოადგენდა შემუშავება ინტეგრირებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსი, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ყველა აქამდე მომზადებული ელემენტი. ეს ხელს შეუწყობდა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დასრულების პროცესს.

2012-2013 წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების სიტუაციური ანალიზი[1]. პროექტის ფარგლებში შემუშავდა გარკვეული წინადადებები და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, თუმცა, როგორც პროექტის ანგარიშშია ნათქვამი, დიდი ნაწილი მაინც რჩება მხოლოდ ქაღალდზე და ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 26 დეკემბერს დაამტკიცა საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013—2020 წწ), რომელიც პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია და წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების შესახებ.

სტრატეგიის ზოგადი მიზანია:

• საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში;

• ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა ინდივიდუალურ და ეროვნულ დონეზე ქვეყნის მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

• საზოგადოების ყველა ფენის, მათ შორის სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის

[1] ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს პროექტის “ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში” ანგარიში, 2015 წელი.

უზრუნველყოფა მათი პიროვნული თვითრეალიზებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

სტრატეგიის კონკრეტული მიზნებია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

სტრატეგიაში გამოყოფილია 7 შედეგი, რომელთა მიხედვითაც ჩამოყალიბებულია სტრატეგიის პრიორიტეტები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა. ეს შედეგებია:

1. სოციალური პარტნიორების სრული და თანაბარი მონაწილეობა პროფესიული განათლების სისტემის მართვაში, პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (კერძო და საჯარო) ერთიანი, მოქნილი ქსელის განვითარება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან;

4. პედაგოგიური კადრების მომზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება;

5. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის ჩამოყალიბება;

6. კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა;

7. პროფესიული განათლების იმიჯისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაეკისრა ცენტრალური ფუნქცია პროფესიული განათლების რეფორმის მართვაში, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

პროფესიული განათლების სისტემა და პროფესიული განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფა ემყარება შემდეგ ძირითად სამართლებრივ და სტრატეგიულ დოკუმენტებს:

- „პროფესიული განათლების კონცეფცია“ (2005);

- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ (2005);
- UN Convention on the Rights of Persons with Disabilities (2006);
- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ (2007);
- პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები);
- „პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 ნოემბრის NN203 დადგენილება;
- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ (2010);
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (2010), რომლის შემადგენელი ნაწილია პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
- „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა დამეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის N8/ნბრძანება;
- პროფესიული განათლების რეფორმის 2009-2012 წლების შუალედური სტრატეგია;
- ანგარიში ძირითადი მიღწევებისა და არსებული გამოწვევების შესახებ (ETF, 2012);
- შეთანხმება პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე (2011);
- სახელმწიფო კონცეფცია შშმ პირების სოციალური ინტეგრაციის შესახებ, ეროვნული სამოქმედო გეგმა (2013-2016 სამუშაო ვერსია).

2007 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“ 12-ჯერ შევიდა ცვლილებები და დამატებები[2]. უკანასკნელი ცვლილება კი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2016 წლის 19 თებერვალს. 2016 წლის 15 აპრილს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“[3] ინიცირებულ იქნა ცვლილებები, რომლებიც მხოლოდ ტერმინოლოგიური ხასიათისაა და ამ ეტაპზე მხოლოდ პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით არის განხილული. უკანასკნელი ცვლილების ინიცირება განხორციელდა 2016 წლის 19 ივლისს[4] საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ ააიპ „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ავტორობით. კანონპროექტის მიზანია არსებული საკანონმდებლო ბაზის გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა და კონვენციის იმპლემენტაციის მექანიზმების დახვეწა/შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ინიციატივები გამოკვეთილია, ძირითადი გამოწვევები უკავშირდება

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608

[3] http://info.parliament.ge/#law-drafting/11841

[4] http://info.parliament.ge/#law-drafting/12549

ამ ინიციატივების განხორციელებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში სტრატეგიის შესაბამისად უკვე არაერთი პროცესი მიმდინარეობს, რომლებიც მიმართულია პროფესიულ განათლებაში არსებული გამოწვევების დასაძლევად. თუმცა, აუცილებელია გაანალიზება და ასახვა „პროფესიული განათლების შესახებ ახალ კანონში" იმ მდგომარეობისა, რომელიც დღეს არსებობს პროფესიული განათლების სისტემაში.

პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასება (RIA)

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ჩატარდა პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასება ევროპის განათლების ფონდის მეთოდოლოგიის (ETF) მიხედვით. პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასების (RIA) მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის (SIAP) კრიტიკული საკითხების იდენტიფიცირება. პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასება (RIA) დაეფუძნა დაინტერესებულ მხარეებთან და პროცესის მონაწილეებთან კონსულტაციებს. პროფესიული განათლების ინსტიტუციური შეფასების შედეგად გამოიკვეთა ცვლილებების საჭიროება ოთხი ძირითადი მიმართულებით:

- **კანონმდებლობა** – ახალი კანონისა და კანონქვემდებარე აქტების მიღება, მათ შორის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსი;

- **ფუნქციები და როლები** – ფუნქციებისა და როლების დაბალანსებული და მკაფიო გადანაწილება;

- **პროცესები და მეთოდები** – შესაბამისი პროცედურების ჩამოყალიბება მართვის ავტომატიზებისა და ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის (Evidence-informed policy) განხორციელებისთვის;

- **კადრების კომპეტენციები** – თანამშრომელთა კარიერული განვითარებისა და ზრდისათვის ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება.

მხარეთა ჩართულობა პროფესიული განათლების განვითარების პროცესში

პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში მხარეთა თანასწორი ჩართულობის უზრუნველსაყოფად 2013-2020 წლების სტრატეგიაში აქცენტი კეთდება სოციალური პარტნიორების გაძლიერებაზე პროფესიული განათლების სისტემის ფორმირების ყველა დონეზე.

პოლიტიკის დონეზე სოციალური პარტნიორობის ძირითად ინსტიტუციას წარმოადგენს ეროვნული პროფესიული საბჭო[5]. საბჭო სოციალური პარტნიორობის პრინციპებზე დაფუძნებული ორგანოა, რომლის მიზანია პროფე-

[5] 2014 წლიდან საბჭო ფუნქციონირებს როგორც ოთხმხრივი ორგანო - მთავრობა, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციები და სამოქალაქოსა ზოგადოება. ორგანოს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N720 დადგენილებით

სიული განათლების განვითარების ხელშეწყობა , პროფესიული განათლების სფეროს პოლიტიკის ფორმირების პროცესში საბჭოს მხარეების ჩართულობა პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების საქართველოს მთავრობისა ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისთვის მომზადების გზით[6]. 2015 წლიდან საბჭოსთან ფუნქციონირებს 9 განახლებული თემატური სამუშაო ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაინტერესებული მხარეების ჩართულობას პროფესიული განათლების სისტემაში. ეროვნული პროფესიული საბჭო გარკვეული პერიოდულობით იკრიბება, თუმცა მნიშვნელოვანია ინტენსიური შეხვედრების გამართვა და პროფესიული განათლების სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

სოციალური პარტნიორობა პროფესიული კოლეჯების დონეზე ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოების საშუალებით. სამეთვალყურეო საბჭოები შედგება 5 წევრისაგან: დამსაქმებელი, მშობელი, სტუდენტი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. კვლევები აჩვენებს[7], რომ სუსტია თანამშრომლობა კერძო სექტორსა და კოლეჯებს შორის; პარტნიორობა ნაკლებად სისტემატური და სისტემატიზებულია, რაც გაუმჯობესებას საჭიროებს. ასევე, მნიშვნელოვანია კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის „წარმატებული პრაქტიკის“ გაანალიზება და პოპულარიზაცია.

პროფესიული განათლების განვითარების ძირითადი ევროპული მიმართულებები

საქართველოს პროფესიული განათლება ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისაკენ მიისწრაფის, იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ევროპულ ბაზარზე კონკურენციის გაწევას და დასაქმებას, მნიშვნლოვანია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში თანამედროვე ევროპული მიმართულებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და ასახვა.

ევროკავშირის ქვეყნებში პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმაზე, ასახულია ევროპის 2020 სტრატეგიაში[8], ბრიუგეს კომუნიკეში (ევროპა 2020), რომლის მიხედვით, 2020 წლისთვის ევროპის პროფესიული განათლების სისტემა უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი, რელევანტური, კარიერაზე ორიენტირებული, ინოვაციური, ხელმისაწვდომი და მოქნილი, ვიდრე ის 2010 წელს იყო. სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს საუკეთესო და უმაღლესი ხარისხის განათლების მიღებას მთელი სიცოცხლის მანძილზე. ბრიუგეს კომუნიკეს ამოცანაა პროფესიული განათლების სისტემაში პარტნიორების უფრო მეტი ჩართულობა და ევროპული პარტნიორების გამოცდილების გაზიარება, ევროპული და ეროვნული ინსტრუმენტების კოორდინირებული მმართველობა გამჭვირვალეობის, აღიარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და მობილობის თვალსაზრისით.

[6] პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულება, მუხლის 3 http://www.mes.gov.ge/uploads/debuleba....pdf

[7] UNDP-ის მიერ 2015 წელს მომზადებული „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სიტუაციური ანალიზის"ფარგლებში ჩატარებული კვლევა (ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები); ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში 2015 წელს ჩატარებული საკაბინეტო კვლევა "სოციალური პარტნიორობა საქარველოში"; ETF-ის მიერ 2014 წელს მომზადებული კონცეფციის „სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერა საქართველოსპროფესიული განათლების სფეროში" ფარგლებში ჩატარებული საკაბინეტო კვლევა.

[8] EUROPE 2020. A European strategy for smart, sustainable and inclusive growth. 2010

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ევროკავშირის დღის წესრიგში, რადგან კვლევები ადასტურებს, რომ პროფესიულ განათლებასა და მომზადებას შეუძლია მრავალმხრივი პოზიტიური გავლენის მოხდენა როგორც პიროვნულ დონეზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკაზე, საზოგადოებასა და საწარმოების ფუნქციონირებაზე.[9]

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

საქართველოში პროფესიული განათლება არამიმზიდველი და ნაკლებად მოთხოვნადია. საქართველოში 2015 წელს განხორციელებული კვლევა[10] ცხადყოფს, რომ, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობაში პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცნობადობა მაღალია, თუმცა ტერმინი „პროფესიული განათლება და გადამზადება“ ყველაზე ხშირად ასოცირდება ყოფილ პროფტექნიკუმთან (35%), ასევე სკოლის შემდგომ არა უმაღლეს განათლებასთან (30%).

საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი (45%) თვლის, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დასაქმების ნაკლები შანსი აქვთ. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (62%) თვლის, რომ პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება იცვლება დადებითად, თუმცა ეს ცვლილება ნელი ტემპებით მიმდინარეობს.პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ საინფორმაციო კამპანიები არასაკმარისია რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის (44%), ხოლო 38% თვლის, რომ ეს კამპანიები მეტ-ნაკლებად საკმარისია. საქართველოს მოსახლეობის 73% ისურვებდა, რომ მის შვილს უმაღლეს სასწავლებელში ჩაებარებინა, ხოლო 11% – პროფესიულ პროგრამაზე.

კვლევები ასევე აჩვენებს, რომ მოსახლეობისა და დამსაქმებლების დამოკიდებულებები პროფესიული განათლების მიმართ იცვლება დადებითი მიმართულებით, თუმცა ეს ნელი პროცესია. პროფესიული განათლება უმაღლეს განათლებასთან შედარებით კვლავ ნაკლებად სასურველ ალტერნატივად განიხილება. დაინტერესებულ მხარეებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და პოტენციური სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით შექმნილია რამდენიმე საინფორმაციო ცენტრი, ინფორმაცია ვრცელდება ელექტრონული სივრცის (ვებგვერდების) საშუალებით, თუმცა, საჭიროა პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიმართულებით ეფექტიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და ამ მიმართულებით აუცილებელი მექანიზმების, მრავალფეროვანი საკომუნიკაციო აქტივობებისა და ინსტრუმენტების დანერგვა.

პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის პროექტი

პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის პროექტზე მუშაობა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით 2014 წელს დაიწყო. მომზადდა კანონპროექტის პირველადი ვერსია.

[9] Vila, 2000; 2005; Feinstein et al., 2008.

[10] პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა, დეკემბერი, 2015 http://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo

2016 წლის 31 მარტს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის კონცეფცია წარედგინა პროფესიული განათლების ეროვნულ პროფესიულ საბჭოს, რომელმაც ახალი კანონის პროექტი განიხილა და მოიწონა.

მნიშვნელოვანია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და უზრუნველყოს:

• პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელი ნორმების ევროპულ მიდგომებთან ჰარმონიაში მოყვანა;

• პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის მისადაგება ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან;

• პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით;

• პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობისა და მიმზიდველობის გაზრდა, მათ შორის პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის დანერგვა, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს პროფესიული განათლების დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძოს განათლების შემდგომ საფეხურზე;

• სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა და ინსტიტუციების გაძლიერება;

• პროფესიულ სტუდენტთა დასაქმება/თვითდასაქმება, მათ შორის, ეფექტური პროფესიული ორიენტაციის სერვისის მიწოდება, მეწარმეობის სწავლება და სხვ.;

• პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარება და თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის, დაფინანსების დამატებითი რესურსების მოზიდვის მიმართულებით;

• პროფესიული განათლების სფეროს სპეციფიკაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება და მისი ევროპულ მიდგომებთან დაახლოება;

• პროფესიული განათლების დაფინანსების ეფექტური განაწილება და პროფესიული განათლების ეფექტური და ეფექტიანი მართვა;

• პროფესიულ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა პირისათვის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისთვის (შშპ, სსმპ, სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური უმცირესობები და სხვა), განურჩევლად მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, ეროვნებისა, სქესისა, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობისა,

• სხვა მნიშვნელოვანი საკითხები და რეკომენდაციები, რომლებიც არაერთ კვლევაშია აღნიშნული.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ დაასრულა დოკუმენტის შიდა განხილვები, მისი საჯაროდ განხილვა არ დაწყებულა, რაც ახანგრძლივებს მისი შემდგომი ინიცირების პროცესს. არსებობს რიგი გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება საკანონმდებლო ინიციატივების დანერგვას, მათ შეფასებას, გაუმჯობესების მექანიზმების ძიებასა და გაუმჯობესებას. საზოგადოების ჩართულობა და სოციალური პარტნიორობა გამოწვევაა განათლების ყველა საფეხურსა და მეცნიერების ყველა სფეროში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის პროექტის პარლამენტს უნდა წარედგინოს 2016 წელს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დროულად დაიწყოს აღნიშნული პროცესი, წარიმართოს თანამიმდევრული დიალოგი დაინტერესებულ მხარეებს შორის და უზრუნველყოფილ იქნეს მისი საჯარო განხილვა და მხარეების ჯეროვანი ჩართულობა.

დასკვნა

ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი აქტივობის მიუხედავად, პროფესიული განათლება კვლავ გამოწვევად რჩება[11]. 2015 წელს განხორციელებული კვლევები[12] აჩვენებს დამსაქმებელთა ნაკლებ ნდობას პროფესიული კვალიფიკაციების მიმართ.

პროფესიული განათლების სისტემა სრულად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც შრომის ბაზარი დღეს დასაქმების მსურველებს უყენებს. ამ ვითარებას ხელს უწყობს ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს შრომის ბაზრის კვლევის სისტემური მექანიზმი, რომელიც დაეხმარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების პოლიტიკის სწორად დაგეგმვაში შრომის ბაზრის არსებული მოთხოვნებისა და სამომავლო ტენდენციების გათვალისწინებით[13]. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმართულებით აქტიურად მუშაობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ სამინისტროს ან/და დეპარტამენტს ვერ დაეკისრება, შესაბამისად, საჭიროა მეტი ძალისხმევა და კვლევა პროფესიულ განათლებასთან შესაბამისობაში შრომის ბაზრის საჭიროებების გამოსავლენად, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ეფექტური კოორდინირებისა და მონიტორინგის მექანიზმების განვითარებას საჭიროებს.

2016 წლის 24-25 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას ქვეყნის განვითარების 4-პუნქტიანი გეგმა წარუდგინა. საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მიმართულების – განათლების რეფორმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია პროფესიული განათლების რეფორმა, რომელიც პროფესიული განათლების ახალი მოდელის, კერძო და საჯარო პარტნიორობის პრინციპზე დაყრდნობით სამუშაოზე დაფუძნებული სწავ-

[11] საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წწ) 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში http://www.mes.gov.ge/uploads/VET_Report_14%2002%2016-AK.doc

[12] დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, დეკემბერი, 2015 http://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo

[13] პროფესიული განათლების შესაბამისობა და საქმების ბაზრის მოთხოვნასთან (2010), GIZ

ლების, დანერგვას გულისხმობს. საქართველოს მთავრობამ სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრა პროფესიული განათლების სრულიად ახალი სისტემის შექმნა, რომელსაც პირდაპირი ზეგავლენა ექნება დასაქმებულთა რაოდენობასა და ახალგაზრდების სამომავლო პერსპექტივაზე.

მართალია, 2016 წელი ბოლო წელია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის განსახორციელებლად, ერთ-ერთი კონკრეტული და მნიშვნელოვანი ვალდებულება -ახალი კანონი "პროფესიული განათლების შესახებ" ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ექვსი თვის ანგარიშში[14] არაფერია ნათქვამი პროფესიული განათლების რეფორმისა და ამ კუთხით მიმდინარე წელს გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორის ჩართულობის ხელშეწყობა პროფესიული განათლების სფეროში ძირითადი პრობლემების დაძლევის, პროფესიული განათლების რეფორმის განხორციელებისა და მასში საზოგადოების მონაწილეობის კუთხით.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები) და შესაბამისი სამოქმედო გეგმები მხოლოდ უმნიშვნელოდ უწყობენ ხელს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. საჭიროა კონკრეტული ამოცანები და აქტივობები, რომლებიც ამ მიზნების მისაღწევად არის მნიშვნელოვანი, გათვალისწინებულ იქნეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგსა (2017-2020) და 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმაში.

რეკომენდაცია

სახელმწიფო დონეზე

აუცილებელია პროფესიული განათლების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ეფექტიანი განხორციელება და ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, მათ შორის "პროფესიული განათლების შესახებ" ახალ კანონზე მუშაობის დასრულება, საჯაროობის უზრუნველყოფა და ინიცირება საქართველოს პარლამენტში.

აუცილებელია ბენეფიციარი სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობების შემდგომი ზრდა, რათა შესაძლებელი გახდეს სექტორის პოლიტიკის განვითარება, მართვა და მონიტორინგი. ასევე, საჭიროა სამინისტროებისა და მათი საქვეუწყებო დაწესებულებების ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ განახორციელონ შესაბამისი რეფორმები და ასოცირების ხელშეკრულებასთან მიმართებით შესრულონ თავიანთი ვალდებულებები.

მნიშვნელოვანია უკანასკნელ წლებში (2014-2016) დაწყებული საკოორდინაციო ღონისძიებების გაგრძელება და გაძლიერება, ევროკავშირის საუკეთე-

[14] http://www.eunato.gov.ge/sites/default/files/2016 წლის AA სამოქმედო გეგმის მოკლე ანგარიში – 09.09.16.pdf

სო პრაქტიკის გაზიარება საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ჰარმონიზების მიზნით.

მნიშვნელოვანია დაფინანსების ეფექტურ მექანიზმებზე/მოდელებზე მუშაობის გაგრძელება, დაფინანსების წყაროების გაფართოება, კერძო სექტორის მოტივირებისა და ახალი ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია გაგრძელდეს სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა, მაკრო, მეზო და მიკროდონეზე არსებული სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერება და, შესაბამისად, ფუნქციების გაფართოება.

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ეკონომიკური სარგებლის (განათლების ამონაგების) რეგულარული კვლევის ლობირება სახელმწიფო დონეზე.

მნიშვნელოვანია პროფესიული მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების მომზადება-გადამზადების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება.

ევროპასთან ჰარმონიზაცია

მნიშვნელოვანია ევროკავშირის დელეგაციის, ბენეფიციარი სამინისტროებისა და სხვა წამყვანი დაინტერესებული მხარეების აქტიური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ დასაქმებისა და პროფესიული სწავლების სექტორის რეფორმის ხელშეკრულების კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება.

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების პროვაიდერებისთვის გაცემა გრანტებისა, რომელთა ფარგლებშიც დაფინანსდება შრომითი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის ან არსებული პროგრამების განახლებასთან დაკავშირებული წინადადებები; ასევე, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ან არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით შედგენილი პროექტები; ადამიანური რესურსის გაძლიერების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და დამსაქმებლებთან ასრებული კავშირის გაღრმავების მიზნით წარდგენილი განაცხადები.

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს

მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება, პროფესიული განათლების პოპულარიზების ხელშეწყობა და მრავალფეროვანი საკომუნიკაციო აქტივობების დანერგვა.

მნიშვნელოვანია შრომის ბაზრისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სფეროს რეფორმების პროგრამების პოპულარიზაცია და ბენეფიციარი სამინისტროების საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერება.

აუცილებელია პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით შემუშავებული პროგრამების დაფინანსება.